ვინსენტ ვან გოგ

მოამაზადა თათია ბაქრაძემ



გზამკვლევი მასწავლებელს

2023 წელი

Vincent

საფეხური: დაწყებითი

რესურსის მიზანი: წინარე ცოდნის გააქტიურება, ნამუშევრის შექმნა

სარეკომენდაციო თემატური ბლოკი: შთაბეჭდილებები და ემოციები

მეთოდი: რესურსში გამოყენებულია კონსტრუქტივისტული სწავლების მეთოდი, რომელიც გულისხმობს წინარე ცოდნის გააქტიურებას, ცოდნათა ურთიერთდაკავშირებასა და საკითხის გააზრებას.

რესურსის მოსალოდნელი შედეგი: აქტიურდება წინარე ცოდნა: მოსწავლეები ვინსენტ ვან გოგის ნამუშევრების მაგალითზე გაიხსენებენ განვლილ მასალას სახვითი ხელოვნების დარგების, ჟანრებისა და მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებების შესახებ, რის შემდეგაც შექმნიან (გააფერადებენ) ნამუშევარს.



რესურსის გამოყენების ინსტრუქცია:



ნაბიჯი 1. აქტივობის დაწყების წინ საჭიროა, რომ მასწავლებელმა რესურსი (პრეზენტაცია) ფერადი პრინტერის დახმარებით ამობეჭდოს და გაკვეთილის დაწყებისას ბავშვებს დაურიგოს.

ნაბიჯი 2. მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს დროს (2 წთ.) და სთხოვს ნამუშევრებზე დაკვირვებას. ამ პერიოდში მოსწავლეები აკვირდებიან სურათებს, რის შემდეგაც მასწავლებელი ბავშებს კითხვების დასმის საშუალებით განვლილ მასალას ახსენებს.

ნაბიჯი 3. სლაიდების გამოყენებით ბავშვებმა უნდა განსაზღვრონ:

1. სახვითი ხელოვნების რომელი დარგია მათ წინაშე წარმოდგენილი (მხატვრობა);
2. მხატვრობის რომელი დარგია მათ წინაშე წარმოდგენილი (ფერწერა);
3. სლაიდზე წარმოდგენილი ნამუშევარი რომელ ჟანრს განეკუთვნება (ნატურმორტი, პეიზაჟი, პორტრეტი, ავტოპორტრეტი, ყოფითი ჟანრი);

რესურსის გამოყენების ინსტრუქცია:

ნაბიჯი 4. კითხვებზე პასუხის გაცემის შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს ნამუშევრებთან დაკავშირებით კითხვებს უსვამს: მასწავლებელი ბავშვებს სთხოვს, რომ დაასახელონ სურათში რომელი (წითელი, ყვითელი, ნარინჯისფერი, იასამნისფერი, ლურჯი და ა.შ.) და როგორი (ძირითადი, შედგენილი, ცივი, თბილი) ფერებია გამოყენებული.

ნაბიჯი 5. ამის შემდეგ მოსწავლეებმა უნდა ისაუბრონ საკუთარ შთაბეჭდილებებზე. რა განწყობას ქმნის კონკრეტული ნამუშევარი, რა ემოციას/ფიქრს აღძრავს მათში.

ნაბიჯი 6. მოსწავლეთა შთაბეჭდილებების მოსმენის შემდეგ მასწავლებელი ბავშვებს ეტიკეტის რაობას უხსნის. მასწავლებელი კითხულობს რომელიმე ნამუშევრის ეტიკეტს (წარწერას) და მის მნიშვნელობაზე საუბრობს. მასწავლებელი საუბრის დროს ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ გამოფენაზე წარდგენილ ნამუშევარს აუცილებელია ჰქონდეს ეტიკეტი, რომელზეც აღნიშნული იქნება ავტორი, სახელწოდება, მასალა, ზომა, წელი და შენახვის ადგილი. მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეებმა გაიგონ პრინციპი, თუ როგორ იქმნება გამოფენაზე წარსადგენი ნამუშევრებისთვის ეტიკეტი.

პრაქტიკული სამუშაო

ნაბიჯი 1. თეორიული ნაწილის შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს პრაქტიკული სამუშაოს დაწყებას სთხოვს. პრაქტიკული სამუშაოს მიზანია, მოსწავლეებმა ვინსენტ ვან გოგის სურათებიდან მიიღონ შთაგონება (ინსპირაცია) და შექმნან (გააფერადონ) საკუთარი ნამუშევრები. მოსწავლეები ფერების არჩევაში სრულიად თავისუფლები არიან. შესაბამისად, არ არის აუცილებელი ორიგინალი ნამუშევრების ფერწერული გამეორება.

ნაბიჯი 2. მოსწავლეები ირჩევენ მასალას, ფერს და იწყებენ გაფერადებას. გაფერადების დასრულების შემდეგ ავსებენ ეტიკეტს - გამოყოფილ გრაფაში წერენ საკუთარი ნამუშევრების შესახებ ინფორმაციას.

პრაქტიკული სამუშაო

ნაბიჯი 3. აქტივობის დასასრულს თითოეულმა მოსწავლემ უნდა დაასახელოს რა მასალა აირჩია (ფანქარი, ფლომასტერი, პასტელი), რომელ ფერებში (ძირითადი, შედგენილი, ცივი, თბილი) გააფერადა ნამუშევარი და რა სახის ეტიკეტი შექმნა.

მასწავლებლის უკუკავშირი:
აქტივობის დასრულების შემდეგ მასწავლებელი ბავშებს უხსნის, რომ მხატვრები სხვა მხატვრების ნამუშევრებისგან შთაგონებას (ინსპირაციას) ხშირად იღებენ და შემდეგ ქმნიან საკუთარ ნამუშევრებს. ამ გაკვეთილზე კი მათთვის ინსპირაციის წყაროს ვინსენტ ვან გოგის ნამუშევრები წარმოადგენდა.